№ 198 25 ენკენისთვე, სამშაბათი 1866—1879 25 ენკენისთვე, სამშაბათი № 198

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. Бареше მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელ სტატიებს ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადებანი

ოთხშაბათს, 26 ენკენისთვეს

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თეატრში:

I

შერცხვენილი ქმარი

(„Ч о р ц д е н и“)

ქორეოდია სამს მოქმედებად

II

სცენები

ოჩრ მოქმედებად—მეღვინეთხუცესოვისა

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაურთოვის მაღაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7½ საათზე. (3—2)

„თფილისის ფიგნის-ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების“ თავმჯდომარე აცნობებს უ.უ. საზოგადოების წევრთა, რომ, ვინაიდგან საჭირო შეიქნა გამგეობის წევრთ რიცხვის მომატება (წესდების § 16, შენიშვნა) და მრავალთა განაცხადეს სურვილი საზოგადოების წევრათ შემოსვლის, ის, თანახმად წესდების § 11 მუხლისა, ნიშნავს საზოგადოების წევრთ უჩვეულო ყრილობას 21 ოქტომბერს, დილის 12 საათზე, თფილისის თავად-აზნაურობის ბანკის შენობაში.

ვისაც სურს საზოგადოების წევრათ შემოსვლა უნდა წინ-და-წინ გამოგზავნოს საზოგადოების კანცელარიაში, Въ Тифлисъ. На Давидовской улицѣ, № 20, განცხადება.

საზოგადოების საქმის-მწარმოებელი
ი. მეუნარგია.
(3—2)

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბალის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლეევამდინ, გაგზავნით—**სამი** მანეთი.

ხელის-მოწერა

გაჭირებულ ქობულეთელთათვის

სია მეთუთხმეტე.

რედაქციამ მიიღო **რაჭის** უეზდის მარშლის თ. **წულუკიძისაგან** 7 მანეთი,

ფელეტონი

ისტორიული მასალები.

(ბაგრძელება*)

ახალქალაქითგან მობრუნებული მეფე სოლომონი თუ რა აელადიდებით მიუღიათ იმერლებს—ამას აცხადებს მაშინდელი წარმოთქული შემდეგი სიტყვა-შესხმად, ეგონებ ანტონ კათოლიკოზის მოწაფე ბაბაშვილისაგან.

„ყოველად უდიდებულეს აფხაზთ-იმერთა მეფეო სოლომონ!

„ქნინი მოხუც მოძღვარი მახლობელი გექმნები გონიერითა სულითა და ორთავე უძლეველთა ხელთა მდაბლად ამბორს გიყოფ. მშვიდობა, მადლი, ხელი-კურთხევა, ცვა, ფარვა ქვეყნით, მდიდრად იყავნ მეფობასა შენსა ზედა ძალით ქრისტესითა და მხოლდ შობილსა ძესა შენსა ზედაცა, რომელიც ფრიად უყვარს სულსა ჩემსა. მოუგონებელი ძლევა-გამარჯვება მოგილოცო! ბონება, პირი უხმარ-უმეცარი მაქვს და წერა შეწყობის გამოუცდელი მარჯვენა. და რით-ღა შეგამკო, უძლეველო მეფეო? უკეთუ დავდუმდე, ვიღა უნდა ვქო? და თუ კალამს ხელი მოვავლო, პირველად არა მაქვს სიტყვა და მერმე ეგოდენი ქალალდ-მელანი, რომ შენის ახოვნების გამოთქმას გასწვდეს!

„ნამდვილ არსიკულ, ყოვლად უსხეულო სახეებს ჯარად შეგიყრი და მუდამ შენის ძლევა-გამარჯვების გალობას ტკბილ შეწყობილ კილოთი გვაგალობებ! საუკუნოება ვიყო, სამარადისოდ მეფობაში დაგიცავ და სიკეთილის შავს დროშას შენს დიდებულს კარზედა არაოდეს მოუშვებ!

თვით ცხოველობა ვიყო, ცოცხლების მდივნებს ერთად შევჰყრი და უკვდავების დარბაზში დავსვამ, რომ შენის სიცოცხლის წერისაგან არაოდეს დასცხრენ!

„სულობის სფერო ვიყო, ყოველს სულიერს ხმა ტკბილობის ნიავს მივბერავ და შენის ახოვნებისა და ქების საკრავთ ხელთ მივსცემ, რათა ჰგალობდნენ იამბიკოსა ძლევისასა ტკბილ ნაზავ კილოთი!

„სამყაროცა ვიყო, სამეფო კარავ ზედ გარდაგერთხმი: ვეტყვი ქრონოსზევს დიათურთ, რომ სარდლებად გეახლნენ: თავთავეთი ვარსკვლავნი სალდათებად წარმოგიდგინონ! მარსმან სისხლის მჩქეფელი ხრმალი ძალიანს ხელთ მოგცეს და სცემდე მტერთ ზურგებსა!

„და თუ მზის სიმრგვლე ვიყო, ჩოქით დაგბატიჟებ მხედრებითურთ ჩემის ეტლის პალატში; შიგნით შეგიყვან, ელვარების ფარდაგს ქვეშ გაგიმლი, ერმის და მთვარეს მერიქიფედ თავს დაგაყენებ და განფადის მთვებს წინ დავაჩოქებ, რომ ოქის ამბავს მღიმარის პირით და სასიხარულო ხმით უანბობდეს თავის ქვეშეთა ვარსკვლავთა!..

„ყოველს ჩემს სხივსა და შარავან დედის კიდურზედა სოლომონს დავაწერ და იმგრგვლივ გარდაეხურამ ყოველს ქვეყანასა, რათა სცნან ყოველთა თემთა სიმხნე შენი!

„თუმც ჰაერთა შინა სამოთხე ვიყო, ზაფხულის პირსა შენის მხედრების შინაგან შევიყვან, ყარამფილთა და ვარდის ფურცელთა ვინამო ზმირთა თანა ფენთაზად გაგიშლი და ვუბრძანებ ნიავ წვლილ სულნელთა ფშვათა, რათა უკვდავებისა მარაოთა გიგრილობდნენ თხემსა! მეტყვი იადონთაებრ მუსიკთა მფრი-

*) „დროება“, № 187.

რომელიც შემდეგ პირებს შემოუწირავთ გაჭირებულ ქობულეთელთა სასარგებლოდ:

მღვდელს ალექსი ბაქრაძეს	2	მან.
ეკატერინე ქვიტაშვილისას	— 3	„
მაკრინე ჯაფარაძის ასულს	— 2	„
სულ	— 7	მან.
ადრინდელი იყო	—502	მ. 94 კ.
სულ არის	—509	მ. 94 კ.

ეს 509 მან. და 94 კაპ. ამ დღეებში გაეგზავნება ბათუმის ოკრუგის უფროსს თ. გრიგოლ ზურიელს, რომელზედაც უფრო სამართლიანად ვერავინ ვერ დაარიგებს ამ ფულს თავის დანიშნულებისა და გვარად.

ამით ათავებს რედაქცია ხელის-მოწერას გაჭირებულ ქობულეთელთა სასარგებლოდ, რადგან ამ უკანასკნელ დროს ფულები მაინც აღარ შემოდის.

ამნაირად რედაქციამ მოაგროვა ამ ქველ საქმისათვის სულ ო რ ი ა თ ა ს მ ა ნ ე თ ზ ე მ ე ტ ი.

„დროების“ რადაქციისაგან საჭირო არ არის მადლობის გამოცხადება იმ პირთათვის, რომელთაც ამ საზოგადო საქმეში, ამ გაჭირებულთა დახმარებაში მონაწილეობა მიიღეს; საჭირო არ არის იმიტომ, რომ საზოგადო საქმეში დახმარება, გაჭირებულთ მოძმეთა ხელის-მომართვა ისეთი რამ სასიამოვნო გრძნობაა, რომელიც სხვის დაუმადლებლათაც აკმაყოფილებს, აჯილდოებს ყოველ კაცური-კაცის გულსა და სინიდისს...

ტელეგრამები

პეტერბურგის ბირჟა, 20 სექტემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	— 94	—62
მეორე — — —	— 93	—62
მესამესი — —	— 93	—75
მეოთხესი — —	— 93	—62
აღმოსავლეთის პირ.	— 91	—62
აღმოსავლეთის მეორე	— 91	—87
აღმოსავლეთის, მესამე	— 91	—50
ოქრო, ½ იმპერიალი	— 7	—75
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი	— „	— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— — 231	— „
მეორე სესხის	— — 225	—25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25—43	პენსი
ბამბურღი — —	127—25	ცენტი
პარიჟი — — —	268—50	სანტიმი
ვენა — — —	216—50	ჰფენიგი
კავკასიის კერასინი	— —	—

საქართველო

ღღიური

*** ბაზეთს „კავკაზში“ გამოცხადებულია ოფიციალური სია იმ ყმაწვილებისა, რომელნიც მიულიან ~~წელს~~ თფილისის სამხედრო გიმნაზიაში. ეს სია ზია, როგორც მოგეხსენებათ, გახსნილია კავკასიის აქეთა და იქითა მცხოვრებთა შვილებისათვის და იმ აფიცრებისა და ჩინოვნიკების შვილებისათვის, რომელნიც მსახურებენ ანუ რომელთაც უმსახურნიათ კავკასიაში.

აი ეს სია: ა) კავკასიაში მცხოვრებთა შვილები მიღებული არიან კონკურსის ეგზამენით:

კოსტანტინე იმნაძე, სედრაკ ოსეფიანც, ალექსანდრე მანსვეტოვი, ზაქარია არლუთინსკი — დოლგორუკოვი, პეტრე ყუზნოვი, კოსტანტინე აბხაზი, გიორგი ჯაველი, ილია ოდიშელიძე, მიხეილ ზურაბოვი, იოსებ ჯანდიერი, კოსტ. ბეგიევი, აბდულ-ალა ბაიტაბაში, ნიკ. სელიკოვი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და გიორგი ჭურული.

რუსის აფიცრებისა და ჩინოვნიკების შვილები აგრეთვე კონკურსის ეგზამენით:

ბ) ვიქტორ მანიკოვსკი, პავლე ვალტერი, ევგენი ნაუმენკო, მიხეილ ფონ-ირტელ და ივანე ბალბაშევსკი.

ბ) მ. ი. უ. კავკასიის ნამესტნიკის ამორჩევით მიღებული არიან:

ზაქარია და საბბარ აჭარელი ხიმშიაშვილები, ნიკ. რომანოვი, ისმაილ რაშიტბეგოვი და ევგენი ხიტუნ.

სულ წელს სამხედრო გიმნაზიაში მიღებული იყვნენ: 18 ადგილობრივ მცხოვრებთა შვილები და 7 რუსის შთამომავლობისა.

*** იქნება ახსოვდეს მკითხველს ის უწესობა და მხეცობა, რომელიც ერთ-

---

ნველთა, რომ ერთად შეიკრიბენ და ჭრელად იგალობონ გამარჯვებისა შენისა შესხმანი!

„ მთერის ცეცხლი ვიყო, ყოველ ღამ ლამპრის ჩირახოვანს შენ და შენს მხედრობას დას-დასად აუნთებ!

„ ზღვა ვიყო, ღელვა ჩქეფისაგან ხელს ავილებ და სადაც სადაფში მარგალიტი მეგულება სამეფო, ღელში ცხრაას და ცხრაას ლანკანს მოგართმევ და ძლევას მოგილოცავ!

„ ქვეყანა ვიყო, მაღალთა მთებთა და გორა-კლდეთა სრულ ვაკე მინდვრად მოგართმევ; ყოველს უცხო ფეროვან ყვავილს კონა-კონად აღმოვაცენებ, ბილა-ბილა იერიქოს ვარდის წვიმას ვაწვიმებ! ირემ-ქურციკ-თხათა, დურაჯ-კაკაბ-ტრედთა და ღალღა-ხოხობ-წყერთა ყოველ ალაგს ჯარად და ჯარად წინ დაგახვედრებ, რომ ნადირობით და ფართოებით შეექცეოდე ქრისტეს მოსახელეთა მხედრობათა თანა!

„ ესენი რომ ვიყო, მაშინ შენს შესაფერად შეგამკობ. მაგრამ კაცი ვარ ცოდვილი და მწირი გლახაკი და რით გადიდო ახოვანებსა ცა?..

„ ვაი! რა უცხო შვილი ამოუცენდი აბრაამს! ჭი რაზომ უმწეერვალესი მოესწარ იაკობსა! ბაჩნია მისიკურთხევა, რომელი გეტყოდა: „ ხელნი შენნი ზურგთა ზედა მტერთა შენთასა!“

„ ეჰა ეჰა დავით! ძე შენი ახალი სოლომონ მარჩი შენი და უცხო თესლთა დაცემითა ყოველითურთ მსგავსი შენი! შბნობდე ტკბილათ ქნარით მაჰმადიანთა ზედა ძლევასა! ჰკრთებოდე შენცა, დავით აღმაშენებელო მეფეო! აჰა სოლომონ, შვილისა შვილმან შენმან, შენგან ისწავა თათართ სისხლით შეღებვა საქართველოს მიწისა და ხუთიათსი სული ერთად აღმოწყვეტა თათარ-ლეკთა. ჰგავს, რომ შენი კურთხეული ხრმალი და სპეტი დროშა ამისთვის დაგიტეეგბიეს! მოვედ, მოვედ ზეცით, აკურთხე და მიულოცე ძლევანი!

„ ჭი უდიდებულესო მეფეო! აწ საიდუმლოდ მოიხსენე სიტყვანი ჩემნი, რომ ვიცი შენს ტკბილ გონებას არ ეწყინება. ზეცას ანგელოზნი გაამხიარულენ, ამისთვის რომ მრავალნი ქერეკნი და ობოლნი გამოიხსენ ოხრობისა და ტყვეობისაგან! ერთა შენთა და მეგობართა გულნი განუცისკროვნენ! ცამან იხარა და ქვეყანამან! მგონია ჯოჯოხეთმანც გაიხარა ხუთი ათასი თათრის ბილწი სულები ერთად ჩაყლაპნა! მაჰმადის საფლავი დაიქცა; მუთრუზ-ალის ოჯახი დაეცა, ოქმარ გლოვის მამით შეისუდრა, ხუთი ათასი შვილი ერთად მოუკვდათ! ეს ძალი ღმერთმან მოგცა. ეს გამარჯვება ზეციოთგან მოგეგელინა.

„ ჩემო ხელმწიფეე, ხელმდაბალი ხარ და სიმდაბლე გიყვარს: იმაზედ გილოცავ და გეეედრები, რომ რაც ახლა სიმდაბლე გაქვს, შვიდი იმოდენი სიმდაბლე მოუმატე და ისე მადლობა მიეც ღმერთსა! შენს ერსა და სამეფოში მშვიდობა ჩამოაგდე, მეზობელთა და გარემოსთა შენთაცა მშვიდობა და სიყვარული მიჰფინე ჭეშმარიტის გულითა, ინებე და ჰქმენ მშვიდობა, ქრისტეს მსგავსი შეიქმნები: ტყვენი განთავისუფლდებიან, ეკკლესიანი აღყვავდებიან და შენთვის ილოცვენ, შენს სახელს ღმერთი განადიდებს. თუ ასე იქმ, ამ სოფელს განითქმი და იდიდები და იმ სოფელს მეფობასაც იშოვნი და თუ ვინმე მტერი გამოგიჩნდება, ან ზაკვით შემოგადგება, ირწმუნე ჩემი ჭეშმარიტებით, ირწმუნე, რომ უეჭველად ამათ ღმერთი დასცემს შენის ხელითა და შენს მაგიერად ძე ღვთისა ებრძოლება, და განითქმი ყოველს თესლსა!

„ იყავ კურთხეულ მეფობა შენი უკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა დრაგუნის პოლკის რუსის აფიცერმა ჩაიდინა შარშან ქ. ახალქალაქში, სადაც ის აფიცერი, გვარად მიშევსკი შეეარდა ერთ სოფლის სახლში, როდესაც იქ ქორწილი იყო, მოიხმო ყარაული სალდათები და თვითონ მასპინძელსა და სტუმრებს სცემა და სხვა შეურაცხყოფა მიაყენა.

ამ აფიცრის საქმე ამ თვის 20-ს განიხილა თფილისის სამხედრო სასამართლომ. დამტკიცდა, რომ მიშევსკი ყველა იმ დანაშაულობაში მტყუანი ყოფილა, რასაც კი აბრალებდნენ.

ამის გამო სამხედრო სასამართლომ გარდაუწყვიტა იმას ყველა ჩინისა და ღირსების ჩამოხდა და ციმბირში გაგზავნადასასახლებელად; მაგრამ რადგანაც მიშევსკის დანაშაულობის შესამსუბუქებელი გარემოებანი არიანო ამის გამო სასამართლომ ამასთანავ დაადგინა, რომ ეს საქმე ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინონ სამხედრო მინისტრის საშუალებით.

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ ქართული წარმოდგენები ამას იქით გაიმართება თფ. საზაფხულო თეატრში ყოველ კვირაში ოთხშაბათობით, და არა შაბათობით, როგორც ადრე იყო გამოცხადებული.

შევიტყეთ აგრეთვე, რომ ამ თვისათვის და ღვინობისთვისათვის ტრუპპას შემდეგი პიესები აქვს სათამაშოდ მოამზადებული: „ბაყრა“, „შერცხვენილი ქმარი“ (ჟორჟ დანდენი), „სკაპენის ცულლუტობა“, „ნება მიბოძეთ, ბატონო“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, „დაკეტილ კარებთან“, „ცელქეგი“, „მოტია“ და სხვ.

*** ქუთაისში ქართული ტრუპპის შედგენის თაობაზე ჩვენ მივიღეთ შემდეგი ამბავი ამ ქალაქიდამ:

„ამ საქმის თანამგრძნობლებს გასული თვის აგვისტოს დამლევს ჰქონდათ კრება, რომელზედაც გადაწყვიტეს ტრუპპის შედგენა, განსაზღვრეს წევრთა რიცხვი, ამოირჩიეს რეჟისორი და მიანდეს ხუთ კაცს ამ ტრუპპისათვის წესდებისა და პიროობების მედგენა, რომელიც ამ სექტემბრის 15 სათვის დამზადებული უნდა წარმოედგინათ.

„15 ამ თვეს იყვნენ მოწვეულნი ყველანი, ვინც კი თანაუგრძნობდნენ ამ საქმეს. წაიკითხეს წესდება ტრუპპისა; მაგრამ რადგან რეჟისსორად ამორჩეული უფ. ანტ. ლორთქიფანიძე არ დაესწრო ამ კრებაზე (ქუთაისში უმყოფელობის გამო), ამის გამო წესდებაზე ხელის-მოწერა გადაიდვა მეორე სხდომისათვის, რომელიც ამ ორ დღეში იქნება“.

*** სოფ. ქასპიდამ (ბორის უეზდისა) გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს იქ ერთობ გახშირებულა ქურდობა, განსაკუთრებით ცხენებისა; კვირა არ გავა ისეო, რომ სამი-ოთხი ცხენი მაინც არ მოიტაცონო.

ამ ქურდობას ჩვენი კორრესპონდენტი ოსებსა და თათრებს აბრალებს, რომელნიც სოფელში ჩამოდიან ვითომ ქერისა და ბზის სასყიდლად, მაგრამ ნამდვილი მიზანი ამათი კი ქურდობა არისო.

უჩივიან აგრეთვე იქაურ მამასახლისს, რომელსაც სულ იმაზე აქვს თვალები გამოჭყეტილი—თუ სად და ვის რა ავაძრო და ჩავიჯიბოვო. სხვათა შორის იმერლები მოდიან ქასპში, ქვევრები და სხვა ჭურჭლები მოაქვთ გასაყიდლათო, მაგრამ ესენი ჩვენი მამასახლისისაგან გაწვალებული და გატყავებული არიანო: თუ ბილეთს მოსთხოვს, თუ თითო რაღაც მიზეზს მოუნახავს, ხრიკს მოსდებს და სანამ ხუთ მანეთს არ წაიგლეჯს, არ მოეშვება, ეჭუქრება, რომ შეკრავ და გაგგზავნი ქანდარმებით იმერეთშიო; ამათაც ეშინიათ და აძლევენო..

„დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი, 18 სექტემბერს. წელს ოზურგეთის სასწავლებლებში მისაღებად იმდენი ბავშვები შეიკრიბნენ, რომ მთელი ოზურგეთი გააკვირვა; არც ერთს სასწავლებელში იმის მეოცედის ნაწილის ჩამოსვლასაც არ მიელოდნენ.

მაგრამ, საუბედუროდ, აქ ერთი ოთხკლასიანი და მეორე სამ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებლების მეტი არა გვაბადია-რა. ამ სასწავლებლების ეზოებში 25 აგვისტოდგან დაწყებული 8 სექტემბრამდი ქუდ-ჩოხ-ღილი მღედლები და დიაკვნები, აზნაურები და გლეხები ორ-ორი თუ სამ-სამი ბავშვებითურთ ბუზებივით ირეოდნენ. ხშირად ისმოდა ცრემლით ხვეწნა, მუქარა და ხანდის-ხან ხანჯლებზედაც იდებდნენ ხელსა; მაგრამ 20 ბავშვში ერთი თუ ორი ძლივს კმაყოფილდებოდა თავისი წადილის აღსრულებით, ...

ეხლა აქ მუქარაც და ცრემლების დენაც დაცხრა; მხოლოდ აქა-იქ დაინახავ თითო-ოროლა მღედლებს, რომლებიც განუწყვეტლივ ეედრებიან ზედამხედველს დეკანოზს ს. ძ—ძეს სასწავლებ-

---

ნით უკუნისამდე. ამინ.“ (ნოებ. 18-ს 1772),

ჩვენ ჩვენს ბოლონდელ საგანს შეუდგეთ:

ახლა წარმოიდგინეთ მეფე ერეკლის გულის დაკლება და რანაირ მწუხარება ნაველში შეეიდა ბატონურმ ბრმანებლობის ჩვეული საქართველო დიდით წვრილამდის! თავმხედ-მედიდურ თავადთ ერთობ გული გაუტყდათ, აზნაურის შვილებს პირი-ნდობა წაუხდათ, მოქალაქეთ თავიანთ ვაჭრობა, ამღებ-მიცემლობის საქმე სრულ დაავიწყდათ; გლეხ-კაცს სიცოცხლე-თვალის ჩინი ნაღვლისაგან აღარ შერჩა და ყმა-მსახურთა გაძვრის ღონე-საშვალი!... უფლის წულნი შავში ისხდნენ, გალაღებულ ბანოვანებს სახე მოქურუხათ, მხიარული პირი აღარ ულიმდათ! სიეიფაფა ქალბატონებს პრანჭვა-გრეხის გული აღარ ჰქონდათ, სრულიად თავი მოებადადათ! დარდიანებულ-დაღვრემილ მანდილოსნებს თავ-თავიანთ კაბრის ზღუბლ გარედ არ ეყოფოდათ. შიმუნვარნი, თუ მოახლე-გადიები, მწარედ გულ დაძარებულ გულ - დაწყვეტით გულ-ხელ დაკრეფილნი აქა-იქ კუჩხ ყურეებში იღუღოდნენ!

ყოველნი გონიერნი სამშობლო მა-

მულის მოყვარენი რაღაც გამოურკვეველ ღრმა ფიქრ-ჭეუნვა-შეწუხებაში შესულიყვნენ? სამღვდელო კრება ერთიან შემტკველებულიყო: დიაკვანთ და მგალობელთ ენა-პირი დაჭყოლოდათ და ერი რაღაცა საოცარი მოლოდინით იტანჯებოდა!

რისთვის? განა მარტო ლეონ ბატონიშვილის სიკვდილისაგან მოელენილ მგლოვარებას შეედვა ესრეთი ჭირის კაენანი ამათთვის, წელი მოეტეხა, თავი მოეხარა და მიწასთან გაეხწორებინა დიდით-პატარამდის?

არა; არამედ ბრუნავ უკუღმართ დროებას, მეფე ერეკლის მოხუცებულებას, დანაღვლიანებით დასნეულებას და მეფობიდგან ხელის აყრასა!

ნუ თუ არ ჰყავდა მოსწრებული შვილები, საკმაო შეძლება, ღონე საშვალი მტრების წინ დადგომისა? დიაღ ჰყავდა; მაგრამ, უნიჭო მზარდულთ და გაუნათლებულ მზრუნველ სახლის მმართველთ წყალობით, რიგიან არ გაზრდილ იყვნენ, სრულიად არ იყვნენ მომზადებულნი სამეფოდ და სამშობლო მამულის დასაცველად. რა ეჭვი ქონება-შეძლებასა გონიერი მმართველი ეჭირებოდა, ღონე-საშვალებასაც კარგი მომხმარებელი და

მტრების წინ დადგომასაც მხნე, გულადი, გამოცდილი პირი. ესრეთი მადლები არც ერთი არა ჰქონდათ იმათ.

ამისთვის საქართველოს ერი უკანასკნელ სასოწარკვეთილებაში იყო მიწეენილი. მაშინვე გულმა შეუტყოთ საქართველოს უბედური მომავალი, გაოხრება და დაცემა გონებრივად თუ ფიზიკებრივად. ქარგად ხედევდნენ, რომ იმათზედ ბოლოვდებოდა ბრწყინვალე მეფობა, დღის მანათი მზე დასავლის კინტროზედ (ორიზონზედ) იწურებოდა, ჩადიოდა და ქვეყანას სულ-გულის შემაჭირეველი შავი სიბნელე ეხურებოდა... მის გამო თავიანთ მომავალ შთამომავლობათა სამარადის საკიცხ-საბასრელნი და საწყეველელნი უნდა ყოფილ იყვნენ. მაგრამ რა გაეწყობოდათ: ყოველგნით ყოველ ნაირი საშვალება მოსპობილი ჰქონდათ. უნდა რომ შავბედ-ილბალს დამორჩილებიყვნენ და ასეც იქმნა!..

ვინმე მესხი

ახალციხე, 20 სექტემბერს.

(ბაგრძელება)

ლიდგან გამორიცხულის თავიანთი შვილების ხელ-მეორედ მოლებას. მართლაც და ამდენი შაგირდების გამორიცხვა ერთი სასწავლებლიდგან, როგორც ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ სასუოიერო სასწავლებელია, არ გაგონილა! ᲝᲠᲘ თვის, აპრილის და მაისის, განმავალობაში აქ 25 შაგირდზე მეტია გამორიცხული.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲔᲚᲘ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, მიხაილოიეს ქუჩაზე, ხეჩინოვის სახლებში, ივანე **ᲙᲣᲠᲬᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ** ნამდვილი, თეთრი **ᲬᲛᲘᲜᲓᲐ** (თაფლის) **ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ**

ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფროიაფია.

ᲐᲛ გვარიეე ნამდვილი წმინდა სანთელი იყიდება აგრეთვე **ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘᲐᲡ**, სიონის ულიცაზედ, ᲝᲜᲐᲜᲝᲕᲘᲡ ქარვასლაში.

(10—5)

მედიცინისა და ხირურგიის დოქტორი **ᲥᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘ** დაბრუნდა სამზღვარ გარეთიდამ და იღებს ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 8 საათიდამ ვიდრე 10-მდინ და საღამოს 5 საათიდამ 7-მდინ.

ᲦᲐᲠᲘᲑᲔᲑᲡ ექიმობისათვის არაფერს არ ახდევინებს.

დოქტორი ქიუჩარიანცი სდგას: სოლოლაკში, ბაღის (ბალაბანის) ქუჩაზე, ᲔᲤᲔᲜᲓᲘᲔᲕᲘᲡ სახლებში, № 56.

(5—4)

ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სექტემბერს და 1-ს ოქტომბერს **ᲛᲪᲮᲔᲗᲝᲜᲑᲐᲡ** წამსვლელთათვის და უკანვე წამოსასვლელად დანიშნული არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის რიგით; იმ მატარებელში კი, რომელნიც მუდმივ მიდი-მოდიან, იგინი არ მიიღებენ.

30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲦᲐᲛᲘᲡᲐ 6 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ		ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲓᲐᲛ ᲦᲐᲛᲘᲡᲐ 7 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ
	1-ᲚᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ	
ᲓᲘᲚᲘᲡᲐ 7 ᲡᲐᲐᲗ. 07 ᲛᲘᲜ.		ᲓᲘᲚᲘᲡᲐ 8 ᲡᲐᲐᲗ. 07 ᲛᲘᲜ.
8 ᲡᲐᲐᲗ. 10 ᲛᲘᲜ.		9 ᲡᲐᲐᲗ. 11 ᲛᲘᲜ.
10 ᲡᲐᲐᲗ. 01 ᲛᲘᲜ.		11 ᲡᲐᲐᲗ. 01 ᲛᲘᲜ.
11 ᲡᲐᲐᲗ. 03 ᲛᲘᲜ.		12 ᲡᲐᲐᲗ. 05 ᲛᲘᲜ.
12 ᲡᲐᲐᲗ. 10 ᲛᲘᲜ.		
ᲨᲣᲐᲦᲚᲘᲡᲐᲡ 1 ᲡᲐᲐᲗ. 24 ᲛᲘᲜ.		2 ᲡᲐᲐᲗ. 15 ᲛᲘᲜ.
		4 ᲡᲐᲐᲗ. 05 ᲛᲘᲜ.
3 ᲡᲐᲐᲗ. 13 ᲛᲘᲜ.		5 ᲡᲐᲐᲗ. 17 ᲛᲘᲜ.
ᲦᲐᲛᲘᲡᲐ 6 ᲡᲐᲐᲗ. 10 ᲛᲘᲜ.		ᲦᲐᲛᲘᲡᲐ 7 ᲡᲐᲐᲗ 14 ᲛᲘᲜ.
7 ᲡᲐᲐᲗ. 17 ᲛᲘᲜ.		8 ᲡᲐᲐᲗ. 18 ᲛᲘᲜ.
8 ᲡᲐᲐᲗ. 21 ᲛᲘᲜ.		9 ᲡᲐᲐᲗ. 55 ᲛᲘᲜ.
9 ᲡᲐᲐᲗ. 58 ᲛᲘᲜ.		11 ᲡᲐᲐᲗ. 05 ᲛᲘᲜ.

ᲧᲕᲔᲚᲐ მატარებელში იქნება ადგილი 48 პასაჟირისათვის I კლასში, 128 II კლასში და 600 პასაჟირისათვის III კლასში.

ᲓᲦᲔᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ და წინა დღესაც, თფილისისა და მცხეთის სტანციებში, პასსაჟირებისათვის ბილეთები გაიყიდებიან ოთხ კლასში: I და II კლასების ბილეთები სამუდამო სტანციის კასსში, მესამე კლასისა კი სამ დროებით გამართულ კასსებში შემდეგი ნომრებიდ № № 2, 3 და 4 სტანციის შენცბის ახლოს. ᲧᲕᲔᲚᲐ წამსვლელ მატარბლისათვის იმდენი ბილეთები გაიყიდებიან, რამდენიც ვაგონში ადგილებია. შემდეგ კასსები დაიკეტებიან და ახლად გაიღებიან ახალი მატარებელის მოსვლამდინ ნახევარ საათის წინათ.

ᲘᲛ პასსაჟირებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთაში, მეიდანზე, ფოჩტის და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის თერთმეტ საათამდინ.

(3—2)

რკ. ᲒᲖᲐ.	ᲓᲘᲚᲐ.		ᲡᲐᲦᲐᲛ.		II კ.		III კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ᲒᲝᲠᲘ. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . . .	1	29	11	57	4	73	2	42
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . . .	1	44			4	90	2	61
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	5	49			7	21	3	69
ᲠᲝᲜᲘ. . . .	6	57			8	44	4	31
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	7	51			9	66	4	93
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ	8	43			10	71	5	47
ᲤᲝᲗᲘ. . . .	9	50			12	24	6	26
ᲤᲝᲗᲘ	9	3						
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	10	14			1	53	-	78
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	11	5			2	61	1	33
ᲠᲝᲜᲘ . . .	12	13			3	84	1	97
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	1	18	ᲦᲐᲛᲔ.		5	3	2	56
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ᲒᲝᲠᲘ	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ. .	9	31	7	56	12	24	6	26

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

ᲝᲪᲘ სიტყვა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ.

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ.
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ, ᲝᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ,	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ .	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და საფრანგეთში .	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.	3	75

ᲤᲝᲩᲢᲐ

ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: სამზღვარ გარეთ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ კვირას გარდა. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. და ᲮᲣᲗᲨ. ᲝᲖᲣᲠ.—პარასკ. და ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲗᲕᲘᲡ—ᲡᲐᲨ. და ᲨᲐᲑ. Ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ და ᲤᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ კვირას გარდა. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ—ᲝᲠᲨ. და პარასკ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲒᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ და სამზღვარ გარეთ:		ᲙᲐᲞ
ᲦᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ	3	
ᲓᲐᲑᲘᲯᲓᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .	7	

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑ.	—	—
ᲤᲥᲕ. ᲗᲔᲗ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ.	2	40
ᲤᲥᲕ. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . .	2	—
ᲭᲘᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	1	40
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲛᲘᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ.	8	40
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	9	30
ᲑᲐᲜᲢᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗᲘ.	11	70
ᲛᲐᲢᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ.	8	50
—ᲗᲘᲠᲐᲥᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ .	4	20
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲡᲢ.	2	10
ᲭᲝᲜᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	5	60
ᲭᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	7	60
ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ Ფ.	11	80
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲝᲠᲮᲘᲡᲐ .ᲚᲘᲢᲠᲐ	—	—
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ . .	—	—
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ ᲕᲔᲓᲠᲝ . . .	4	50
ᲨᲐᲥᲐᲠ ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	35
—ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ .	5	60
ᲧᲐᲕᲐ ᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲒᲠᲒ. .	—	65
ᲖᲔᲗᲘ ᲭᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ.	15	70
ᲗᲐᲛᲑ. ᲥᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲤᲗ.	6	70

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.

ᲔᲠᲔᲕᲜ. მ. ᲓᲘᲓ., ᲬᲘᲜ. ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲝᲕ. ᲡᲐᲮᲚᲘ.

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ მიიღებენ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ და ᲑᲐᲠᲚᲔᲕᲘᲩᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤ.; ᲠᲔᲘᲮᲘ—ᲗᲕᲐᲚᲘᲡ, ᲧᲣᲠᲐᲕᲚᲔᲕᲘ—ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘᲡ, და ᲙᲐᲜᲘᲡ; ᲑᲐᲑᲝᲕᲘ—ᲒᲣᲚᲘᲡᲐ და ᲨᲘᲜᲐᲒ.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ, ᲐᲡᲢᲤᲐᲜ-ᲪᲣᲤᲠᲝᲕᲘ—ᲥᲐᲚᲘᲡᲐ და ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲗᲛᲧ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧ. და ᲧᲣᲠᲐᲕᲚᲔᲕᲘ—ᲙᲐᲜᲘᲡ და ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘᲡ.

ᲞᲐᲠᲐᲠᲡᲙᲔᲕᲡ იქნებიან: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ, ᲨᲘᲜᲐᲒ.; ᲐᲡᲢᲤᲐᲜ-ᲪᲣᲤᲠᲝᲕᲘ—ᲕᲔᲜᲔᲠ. და ᲙᲐᲜᲘᲡ; ᲑᲐᲑᲐᲕᲘ—ᲒᲣᲚᲘᲡᲐ და ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ, ᲨᲘᲜᲐᲒ.; ᲧᲣᲠᲐᲕᲚᲔᲕᲘ.—ᲕᲔᲜᲔᲠ. და ᲙᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲘᲮᲘ—ᲗᲕᲐᲚᲘᲡ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Сентября 1879 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓ. Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.